

1951 წლის დეპორტაციის ტრავმული მეხსიერება აჭარაში¹

ირინე შერვაშიძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

ელ-ფოსტა: ir.shervashidze@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-4997-4012>

აბსტრაქტი. სტატია ეხება 1950-იანი წლების საბჭოთა რეპრესიებს აჭარაში, კერძოდ, 1951 წლის დეპორტაციას, რომელიც საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, თუმცა შედარებით ნაკლებად შესწავლილ ეპიზოდს წარმოადგენს.

კვლევის მიზანია გაანალიზოს დეპორტაციის გამოცდილება არა მხოლოდ ისტორიული ფაქტების დონეზე, არამედ ტრავმული მეხსიერების პერსპექტივიდანაც.

ნაშრომი ეფუძნება როგორც საარქივო დოკუმენტების, ასევე ზეპირი ისტორიების ანალიზს, რომელიც ჩაწერილია კვლევითი პროექტის - „ოფიციალური ისტორიიდან გარიყული მეხსიერება: 1951-1952 წლების რეპრესიები აჭარაში“ ფარგლებში.

ზეპირი ისტორიების ანალიზი აჩვენებს, რომ დეპორტაციის გამოცდილება კოლექტიურ და ოჯახურ მეხსიერებაში სპეციფიკური ნარატიული სტრუქტურებით კონსტრუირდება. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი ნარატიული მოდელები, რომელთა საშუალებითაც ინდივიდები და ოჯახები ახდენენ ტრავმული გამოცდილების რეპრეზენტაციას, ინტერპრეტაციასა და თაობათა-შორის გადაცემას.

კვლევა ადასტურებს, რომ 1951 წლის დეპორტაცია უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც პოლიტიკური რეპრესიის აქტი, არამედ როგორც სოციალური და კულტურული ტრავმა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აჭარის საზოგადოების ისტორიულ ცნობიერებასა და კოლექტიურ იდენტობაზე.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა რეპრესიები, დეპორტაცია, აჭარა, ტრავმული მეხსიერება, ზეპირი ისტორია, კოლექტიური მეხსიერება, ტრანსგენერაციული ტრავმა.

შესავალი. საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკის კვლევა საქართველოს ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან, თუმცა არათანაბრად შესწავლილ სფეროს წარმოადგენს. ტრადიციულად, სამეცნიერო ინტერესი 1924 წლის აჯანყებისა და 1937 წლის „დიდი ტერორისკენ“ არის მიმართული, რის ფონზეც 1940-1950-იანი წლების რეპრესიები, მათ შორის 1951 წლის დეპორტაცია, შედარებით ნაკლებად არის გაანალიზებული. სწორედ ამ კონტექსტში ჩნდება კვლევითი კითხვა: როგორ აისახა დეპორტაციის ეს ტალღა რეპრესირებულთა ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეხსიერებაში?

საქართველოში საბჭოთა რეპრესიულმა პოლიტიკამ მასშტაბური ხასიათი 1930-იან წლებში შეიძინა, თუმცა სისტემური დევნა ამ პერიოდით არ დასრულებულა. 1940-1950-იან წლებში ტოტალიტარული სისტემა კვლავ აქტიურად იყენებდა პოლიტიკური კონტროლის ისეთ ინსტრუმენტს,

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „ოფიციალური ისტორიიდან გარიყული მეხსიერება: 1951-1952 წლების რეპრესიები აჭარაში“ ფარგლებში. პროექტის შიფრი FR-23-18809

როგორც იყო მასობრივი გადასახლება, რაც განსაკუთრებით შეეხო რეჟიმისთვის „არასანდოდ“ მიჩნეულ პირებსა და სოციალურ ჯგუფებს.

აჭარა, თავისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობითა და ეთნოკულტურული თავისებურებებით, საბჭოთა რეჟიმის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ობიექტს წარმოადგენდა. ტოტალიტარული სისტემა რეგიონში ხშირად ატარებდა სოციალურ ექსპერიმენტებს იდეოლოგიური დამკვიდრების მიზნით. მაგალითად, 1929 წლის ანტირელიგიურმა კამპანიამ ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია, რაც სამხედრო ძალით ჩაახშეს. ამ მოვლენამ საფუძველი ჩაუყარა სისტემასა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის ხანგრძლივ უნდობლობას, რაც შემდგომი წლების რეპრესიების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა.

1950-იანი წლებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ აჭარა სრულად იყო ინტეგრირებული საბჭოთა ადმინისტრაციულ სისტემაში, რეგიონი მაინც მკაცრი კონტროლის ქვეშ რჩებოდა. უშიშროების ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საზღვრისპირა მოსახლეობას, მათ თურქეთთან კონტაქტებსა და ფარულ რელიგიურ საქმიანობას. ამ პოლიტიკის ტრაგიკულ კულმინაციად იქცა 1951 წლის დეკემბრის დეპორტაცია, რომელიც მიმართული იყო „არასაიმედო ელემენტების“ და მათი ოჯახის წევრების წინააღმდეგ. აღნიშნულმა პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადგილობრივი საზოგადოების სტრუქტურაზე. ბევრი ოჯახი აღმოჩნდა პოლიტიკური დევნის ქვეშ, რამაც საზოგადოებაში შიშისა და უნდობლობის გარემო შექმნა.

მიუხედავად მოვლენის მასშტაბურობისა, ეს პერიოდი ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდხანს რჩებოდა სათანადო ყურადღების მიღმა. მხოლოდ ბოლო წლებში, საარქივო მასალების ხელმისაწვდომობისა და მეხსიერების კვლევების განვითარების კვალდაკვალ, გახდა შესაძლებელი ტრავმული გამოცდილების ახალი პერსპექტივიდან გააზრება.

მოცემული კვლევის მიზანია 1951 წლის დეპორტაციის ანალიზი არა მხოლოდ ისტორიული ფაქტების დონეზე, არამედ ტრავმული მეხსიერების ჭრილში. კვლევის ამოცანებია:

1. დეპორტაციის ისტორიული კონტექსტისა და წინაპირობების გამოკვეთა;
2. ზეპირი ისტორიების საფუძველზე ტრავმული გამოცდილების ნარატიული ფორმების იდენტიფიცირება;
3. იმ მექანიზმების გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც აღნიშნული გამოცდილება გადაეცემა მომდევნო თაობებს.

ნაშრომი ადასტურებს, რომ 1951 წლის დეპორტაცია უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც პოლიტიკური აქტი, არამედ როგორც სოციალური და კულტურული ტრავმა, რომელმაც ფუნდამენტური გავლენა მოახდინა აჭარის საზოგადოების ისტორიულ ცნობიერებასა და კოლექტიურ იდენტობაზე.

კვლევის მეთოდოლოგია. წინამდებარე კვლევა ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს საარქივო მასალისა და ზეპირი ისტორიების შესწავლის მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ასევე მეხსიერების კვლევების თეორიულ პარადიგმებს. კვლევის პირველ ეტაპზე განხილული საარქივო მასალები საშუალებას იძლევა, ადგეს 1951 წლის დეპორტაციის პოლიტიკური და ლოგისტიკური სურათი.

ემპირიული მასალის ძირითად წყაროს წარმოადგენს აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში 1950-იან წლებში რეპრესირებულ პირებსა და მათი ოჯახის წევრებთან ჩაწერილი 25-მდე სიდრმისეული ინტერვიუ, რომელიც პროექტის - „ოფიციალური ისტორიიდან გარიყული მეხსიერება: 1951-1952 წლების რეპრესიები აჭარაში“ ფარგლებში განხორციელდა. კვლევის ეს თვისებრივი ნაწილი ეყრდნობა ნარატიული ანალიზის ტექნიკას, რაც 1951 წლის ტრაგედიას წარმოაჩენს არა მხოლოდ როგორც სტატისტიკურ მოცემულობას, არამედ როგორც ოჯახურ და კოლექტიურ მეხსიერებაში დაღეწილ ტრავმულ გამოცდილებას.

თეორიულ დონეზე ნაშრომი ეყრდნობა მეხსიერების სოციოლოგიურ გააზრებას, სადაც აქცენტი კეთდება წარსულის სუბიექტურ აღქმასა და მისი რეპრეზენტაციის ფორმებზე.

კვლევის პროცესში დაცულია რესპონდენტთა კონფიდენციალურობა და აკადემიური ეთიკის სტანდარტები.

მსჯელობა. 1951 წლის დეპორტაცია არ იყო მხოლოდ ლოკალური მოვლენა. იგი წარმოადგენდა რეჟიმის მიერ დაგეგმილი ფართომასშტაბიანი წმენდის ნაწილს, რომელმაც ათასობით ოჯახის ბედი შეცვალა. ამჯერად რეპრესიული მანქანის სამიზნედ იქცნენ ის პირები, რომლებსაც კავშირები ჰქონდათ საზღვარგარეთის კაპიტალისტურ ქვეყნებთან. რეჟიმისთვის მსგავსი კონტაქტების არსებობა ავტომატურად ნიშნავდა პოტენციურ „ღალატს“. რეპრესიები ასევე შეეხო მეორე მსოფლიო ომის ყოფილ სამხედრო ტყვეებს, ფრონტიდან დაბრუნებულ პირებსა და მათ ოჯახის წევრებს. უშიშროების ორგანოებმა ამ ადამიანების წინააღმდეგ ხელოვნური ბრალდებები შექმნეს, რის საფუძველზეც ომგამოვლილი მეომრები, თურქეთში გადასვენებული ქართველები და მათი ოჯახის წევრები „სამშობლოს მოღალატეებად“ გამოცხადდნენ.

დეპორტაცია განსაკუთრებით მტკივნეულად შეეხო საზღვრისპირა სოფლებს. საბჭოთა ხელისუფლება აჭარის ამ ნაწილს პოლიტიკურად არასაიმედოდ მიიჩნევდა, რადგან მოსახლეობა თურქეთში მცხოვრებ ნათესავებთან კავშირის შენარჩუნებას ცდილობდა და ზოგჯერ ფარულად კვებდა საზღვარს. გადასახლების საფუძველი ხდებოდა არა მხოლოდ ნათესაური კავშირები, არამედ ეკონომიკური ფაქტორებიც. კვლევითი პროექტის - „ოფიციალური ისტორიიდან გარიყული მეხსიერება: 1951-1952 წლების რეპრესიები აჭარაში“ ფარგლებში ჩაწერილი ისტორიები აღწერს შემთხვევებს, როდესაც თურქეთში შეძენილი ტანისამოსი კი საკმარისი აღმოჩნდა მთელი ოჯახის დეპორტაციისთვის, რაც კონტროლის უკიდურეს ფორმებზე მიუთითებს.

იდეოლოგიური სეგრეგაციის ამ მასშტაბებს თვალსაჩინოს ხდის საარქივო სტატისტიკა. დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ 1951 წელს ყაზახეთსა და უზბეკეთში 4000-მდე ადამიანი გადაასახლეს. აჭარიდან დეპორტირებულთა რაოდენობა რაიონების მიხედვით ასე ნაწილდება: ბათუმი - 140, ქობულეთი - 219, ხელვაჩაური - 1235, ქედა - 860, ხულო - 1308 პირი (სმსსა, ფ. 31, აღწ. 1, საქ. 80; თურმანიძე, 2019).

ხულოსა და ხელვაჩაურის მაღალი მაჩვენებლები (ჯამში დეპორტირებულთა თითქმის 65%) შემთხვევითი არ არის და სხვადასხვა ფაქტორით აიხსნება. თუ ხელვაჩაურის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა თურქეთის საზღვართან სიახლოვეს ენიჭებოდა, ხულოსთან მიმართებაში საქმე უფრო კომპლექსურ, სოციალურ-კულტურულ „არასაიმედოობასთან“ გვაქვს.

ხულო, გარდა იმისა, რომ ფართო ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტრადიციული და რელიგიური ცხოვრების წესის შენარჩუნებით, რაც საბჭოთა უშიშროების ორგანოებისთვის პირდაპირ ასოცირდებოდა „ანტისაბჭოთა განწყობებთან“. ამ გარემოებას ემატებოდა მუჰაჯირობის ტალღების შედეგად თურქეთში გაჩენილი მჭიდრო ნათესაური კავშირები. საბჭოთა პარანოიის პირობებში კი საზღვრის მიღმა არსებული ნებისმიერი ოჯახური ურთიერთობა (თუნდაც მხოლოდ მეხსიერების დონეზე) „ჯაშუშობად“ ან „თურქეთის აგენტობად“ კვალიფიცირდებოდა. სწორედ ამ მჭიდრო სოციალურმა კავშირებმა და ტრადიციულმა ავტონომიურობამ აქცია ეს რეგიონი 1951 წლის ოპერაციებისას სტრატეგიული „წმენდის“ მთავარ სამიზნედ.

საარქივო დოკუმენტებში ფიგურირებს ტერმინები: „სამშობლოს მოღალატე ქართველი აჭარელები“, „მავნებლური ელემენტები“, „კონტრაბანდისტები“, „პანთურქისტები“ და „პანისლამისტები“ (სმსსა, ფ. 31, აღწ. 1, საქ. „გროზა“). მსგავსი კლასიფიკაცია ადასტურებს, რომ რეპრესიული სისტემის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება პასუხისმგებლობის კოლექტიური, არაპერსონალური ხასიათი იყო. „დანაშაული“ არ აღიქმებოდა ინდივიდუალურ ქმედებად. ბრალდება ავტომატურად ვრცელდებოდა რეპრესირებულის ოჯახზე, ნათესავებსა და სოციალურ წრეზე. შესაბამისად, დე-

პორტაცია ემსახურებოდა არა მხოლოდ კონკრეტული პირის დასჯას, არამედ მთელი სოციალური ჯგუფის დევნას, რაც პრაქტიკაში ტოტალური კონტროლის დამყარებას ნიშნავდა.

კვლევები აღწერს რეპრესიების შედეგად გადასახლებულთა მძიმე სოციალურ და საცხოვრებელ პირობებს ცენტრალური აზიის რეგიონებში, სადაც მათ „სპეცკონტინგენტის“ სტატუსი ჰქონდათ (თურმანიძე, 2019; Polian, 2004). დეპორტაციები ხორციელდებოდა მოულოდნელად. თითოეულ ოჯახზე გამოყოფილი იყო 3-კაციანი ოპერატიული ჯგუფი და 2 ჯარისკაცი. ოჯახებს ეძლეოდათ რამდენიმე საათი ნივთების შესაგროვებლად, რის შემდეგაც ისინი იძულებით გადაჰყავდათ ბათუმის სადგურზე წინასწარ მობილიზებულ ემელონებში და გადასახლების ადგილებში გზავნიდნენ. გადასახლებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკან ვეღარ დაბრუნდა. მათ შორის ნახევარზე მეტი ქალები და ბავშვები იყვნენ. ასევე მრავლად იყვნენ მოხუცები და სნეულები, რომლებიც მძიმე გზას ვერ უძლებდნენ და ხშირად გადაადგილების პროცესშივე იღუპებოდნენ. გარდაცვლილებს ვაგონებიდან პირდაპირ გზაზე ტოვებდნენ. აჭარაში შეგროვებული ისტორიები დეტალურად გადმოსცემს გადასახლების პროცესის არაადამიანურ პირობებს. რესპონდენტები იხსენებენ სატვირთო ვაგონებში გატარებულ რამდენიმე კვირას, აუტანელ სიცივეს, შიმშილსა და მაღალ სიკვდილიანობას. დანიშნულების ადგილზე ჩასულებს კი ახალი განსაცდელი ხვდებოდათ - მათ მიწურებში ასახლებდნენ. შუა აზიის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მაღალი ტემპერატურა და სასმელად უვარგისი წყალი ეპიდემიების გავრცელებას უწყობდა ხელს, რასაც ხშირად ოჯახები ეწირებოდნენ. ზეპირი ისტორიები ადასტურებს შემთხვევებს, როდესაც ადამიანები გათავისუფლებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალნენ, რაც კიდევ უფრო ამძიმებს რეპრესირებული ოჯახების ისედაც ტრაგიკულ ბედს.

მასობრივი გადასახლება ღრმა სოციალურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე. რეპრესიული გარემო ქმნიდა მუდმივ შიშსა და დაუცველობის განცდას, რის გამოც ოჯახები წარსულ გამოცდილებაზე საჯაროდ საუბარს ერიდებოდნენ. ამ ვითარებამ გამოიწვია ე.წ. „შიშის კულტურის“ დამკვიდრება, რაც ისტორიოგრაფიაში ხშირად განიხილება, როგორც ინდივიდუალური და კოლექტიური თვითცენზურის მექანიზმი (Figes, 2007).

1954-1956 წლებში დაწყებული რეაბილიტაციის პროცესი წინააღმდეგობრივად წარიმართა. დაბრუნებულებს საკუთარ სახლებში შესვლის უფლება არ ეძლეოდათ, რამაც სოციალური დაძაბულობა და ე.წ. „მეორადი რეპრესიები“ წარმოშვა. გადასახლებულთა ქონება (სახლები, პირუტყვი, მიწები) უკვე განაწილებული იყო ადგილობრივ კოლმეურნეობებსა თუ სხვა სოფლებიდან ჩამოსახლებულ პირებზე. რეპრესირებულებს არ მიუღიათ არც მატერიალური ზიანის ანაზღაურება და არც სათანადო მორალური კომპენსაცია. შედეგად, 1951 წლის დეპორტაცია საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა ნარატივში „მეორეხარისხოვან“ ტრაგედიად დარჩა. ისინი, ფაქტობრივად, „გამოტოვებულნი“ აღმოჩნდნენ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის პროცესში. წინამდებარე კვლევის აქტუალობას სწორედ ამ მივიწყებული ტრაგედიის ისტორიულ-კულტურული რეაბილიტაცია და მისი ოფიციალურ ნარატივში დაბრუნების მცდელობა განაპირობებს.

ისტორიკოსები თანხმდებიან, რომ 1950-იანი წლების დეპორტაციის სრული სურათის აღდგენა ზეპირი მოგონებების გარეშე შეუძლებელია, რადგან საარქივო დოკუმენტაცია ხშირად აყალბებდა ან მალავდა მომხდარი ტრაგედიის რეალურ მასშტაბებს. მეხსიერების კვლევა კი იმ ისტორიული შრეების რეკონსტრუქციის შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც ოფიციალურ წყაროებში არ აისახება.

წლების განმავლობაში მრავალი ოჯახი ერიდებოდა წარსულზე საჯაროდ საუბარს, რადგან საბჭოთა სისტემის პირობებში მსგავსი აღიარება პოლიტიკურად სახიფათო იყო, რაც მათ, ფაქტობრივად, „უჩინარ“ რეპრესირებულებად აქცევდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში დაიწყო საბჭოთა რეპრესიების უფრო აქტიური საჯარო განხილვა. თანამედროვე ისტორიკოსები და მკვლევრები

ცდილობენ საარქივო დოკუმენტებისა და ზეპირი ისტორიების შეჯერებას, რათა უფრო სრულად გააანალიზონ ამ მოვლენების ისტორიული მნიშვნელობა და ადადგინონ კოლექტიური მეხსიერების დაკარგული რგოლები.

მორის ჰალბვაქსის (Halbwachs, 1992) თეორიის თანახმად, ტრავმული ისტორიული მოვლენა ხშირად რჩება „დამალულ მეხსიერებაში“, სანამ საზოგადოება მზად არ გახდება მისი საჯარო რეფლექსიისთვის. სწორედ ასეთ პროცესს ვხედავთ დღეს აჭარის შემთხვევაშიც. კვლევითი პროექტის - „ოფიციალური ისტორიიდან გარიყული მეხსიერება: 1951-1952 წლების რეპრესიები აჭარაში“ ფარგლებში შეგროვებული ზეპირი მოგონებები შეუცვლელ როლს ასრულებს მოვლენების „ქვემოდან დანახვაში“. ეს ისტორიები ფასეულია არა მხოლოდ წარსულის დოკუმენტირებისთვის, არამედ როგორც სუბიექტური მნიშვნელობების მატარებელი წყარო, რომელიც აუცილებელია რეგიონის თანამედროვე სოციალური მეხსიერების კონსტრუირებისა და ანალიზისთვის.

აჭარაში ჩაწერილი ინტერვიუები ადასტურებს, რომ მომდევნო თაობებისთვის გადაცემული მძიმე გამოცდილება განსაკუთრებით მკვეთრად არის შემორჩენილი ოჯახურ მეხსიერებაში და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ტრავმულ ნარატივებში. სტატიაში გაანალიზებულია ის კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ამ მეხსიერების ფორმირებისა და ტრანსმისიის პროცესს.

ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ რესპონდენტები საკუთარ გამოცდილებას ხშირად ფრაგმენტულად და არათანმიმდევრულად გადმოსცემენ. ეს ფენომენი ზეპირი წყაროს სპეციფიკური მახასიათებელია (Portelli, 1991). ტრავმული გამოცდილების პირობებში მეხსიერება ინახავს არა მოვლენათა სრულ ქრონოლოგიას, არამედ იმ ეპიზოდებს, რომლებსაც ინდივიდისთვის უდიდესი ემოციური და სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. შესაბამისად, მეხსიერებაში ილექება განცდილი რეალობის სუბიექტური მნიშვნელობები, რაც თხრობის წყვეტილობასა და ფრაგმენტულობას განაპირობებს.

კოლექტიური მეხსიერება მხოლოდ უშუალო მონაწილეებით არ შემოიფარგლება. იგი სხვადასხვა თაობასა და სოციალურ ჯგუფებში ვრცელდება. რესპონდენტები, რომლებიც თავად არ ყოფილან გადასახლებული, ოჯახის წევრების გამოცდილებას დეტალურად აღწერენ, რაც ტრავმული მეხსიერების აქტიურ ტრანსმისიაზე მიუთითებს. იან ასმანის (Assmann, 2010) თანახმად, ამგვარი პროცესი კომუნიკაციური მეხსიერების სფეროს განეკუთვნება. აჭარის შემთხვევაში, ეს მეხსიერება ათწლეულების განმავლობაში სწორედ ოჯახურ ნარატივებში ინარჩუნებდა სიცოცხლეს, რადგან საბჭოთა რეჟიმის პირობებში ამ თემაზე საჯარო საუბარი შეუძლებელი იყო.

გადასახლებულთა და მათი შთამომავლების მონათხრობში ტრავმული გამოცდილება სხვადასხვა ფორმას იღებს. ამ პროცესში ცენტრალური ადგილი უჭირავს ოჯახის წარსული სტატუსისა და ღირსების ხაზგასმას, რაც ერთგვარი ნარატიული კომპენსაციის ფუნქციას ასრულებს (ჯავახიშვილი, 2018). მსხვერპლთა მოგონებებში ხშირად ფიგურირებს განცდა, რომ მათი რეპრესიის მიზეზი სწორედ სოციალური, ეკონომიკური ან კულტურული უპირატესობა გახდა:

„მამაჩემი თვითგანათლებული კაცი იყო, იცოდა ორი-სამი ენა, წერა-კითხვა, რუსული, ქართული... ჩვენს გვარს არასდროს არ ჰქონია ოდელი“ (მამრ., 76 წ., ხელვაჩაურის რაიონი, რეპრესირებულის შვილი);

„მამაჩემი იყო ძალიან განათლებული, სახელგანთქმული, ავტორიტეტიანი და თან ვაჟკაცი კაცი იყო“ (ნ. შ., მდედრ., 79 წ., ხულოს რაიონი, რეპრესირებული/დეპორტაციისას ბავშვი).

განსაკუთრებული სტატუსის, განათლებისა თუ ეკონომიკური კეთილდღეობის წინ წამოწევით, რესპონდენტები ოჯახის ღირსების სიმბოლურ აღდგენას ახდენენ. ამგვარი აქცენტირება არა მხოლოდ ოჯახის სოციალური სტატუსის რეკონსტრუქციას ემსახურება, არამედ მეხსიერებაში პოზიტიური თვითრეპრეზენტაციის გაძლიერებასაც უზრუნველყოფს.

ზეპირი ისტორიების თხრობისას მკაფიოდ იკვეთება ემოციური კონტრასტები, რაც ადასტურებს, რომ ტრავმული მეხსიერება ერთგვაროვანი არ არის და იგი სხვადასხვა ნარატიულ სტრატეგიებში იძენს ფორმას. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი და იმავე რესპონდენტის რადიკალურად განსხვავებული ემოციური რეაქციები:

„ჩვენ სახლში ცხოვრობდა [სხვა სოფლიდან] ჩამოსახლებული [პიროვნება], ძალიან მაგარი ადამიანი... (ხმა ეცვლება, ეტირება). [დაბრუნების შემდეგ] მიაკითხა მამაჩემს და უთხრა: შენ ოჯახში რატომ არ მოდიხარო. მამაჩემმა უთხრა, ჩემ ოჯახში შენ ხარ და მე როგორ მოვიდეო. მეორე დღეს ეს ადამიანი ადგა და წავიდა [სახლი დაუცალა]“;

„თუ ვინმე მოკვდებოდა, იქვე გადააგდებდნენ... მამაჩემმა ერთი მიცვალებული დამალა, რომ არ გადაეგდოთ... სადგურშივე ჩამოაგდეს მიცვალებული და მამაჩემს უთხრეს, მეორეჯერ რომ გააკეთებ, შენ დაგტოვებთ სიცივეშიო (იცინის)“ (მამრ., 76 წ., ხელვაჩაურის რაიონი, რეპრესირებულის შვილი).

ეს ემოციური მრავალფეროვნება წარმოაჩენს, თუ როგორ ახდენს მთხრობელი მოვლენების ხელახალ ინტერპრეტაციას აწმყოდან. აქ ტირილი კოლექტიური თანაგრძნობისა და სოლიდარობის აღიარებაა, ხოლო სიცილი ტრაგიკულ გამოცდილებასთან ნარატიული დისტანცირების ფორმად გვევლინება, სადაც რესპონდენტი წარსულს აწყობს არა როგორც ტრაგედიას, არამედ როგორც გადალახულ გამოცდილებას, რაც საბოლოოდ ცვლის კიდევ ამბის სუბიექტურ მნიშვნელობას.

ტრავმული ნარატივის გაანალიზებისას ასევე მნიშვნელოვანია იმ ეპიზოდების გამოყოფა, სადაც რესპონდენტები წარსულის პოზიტიურ რეკონსტრუქციას ახდენენ. ყაზახეთში ცხოვრების პერიოდიდან მეხსიერება ხშირად გამოარჩევს კეთილმეზობლობისა და ეკონომიკური საქმიანობის შედარებით სტაბილურ შემთხვევებს:

„ყაზახებთან კარგი მეზობლობა გვექონდა... ენა პატარა ასაკში ვისწავლე...“ ან „კოლმეურნეობიდან შემოსავალი ისეთი კარგი იყო, რომ აქაურზე უკეთესი“ (დ. წ., მამრ., 83 წ., ხულოს რაიონი, რეპრესირებული/დეპორტაციისას ბავშვი).

ეკონომიკური წარმატების წინ პლანზე წამოწევა რეზისტენტობის (წინააღმდეგობის) გამოვლინებაა, რაც მთხრობელს საშუალებას აძლევს, გადასახლების ისტორია პიროვნული გამარჯვების ნარატივად აქციოს. ამგვარად, რესპონდენტი უარყოფს მხოლოდ „მსხვერპლის“ პასიურ როლს და საკუთარ წარსულს თვითდამკვიდრების ისტორიად გარდაქმნის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს პოზიტიური აქცენტები რეალურ ისტორიულ მოცემულობასაც ეყრდნობა: შუა აზიის კოლმეურნეობებში ანაზღაურება და სამუშაო პირობები ხშირად მართლაც აღემატებოდა აჭარის მაღალმთიანი სოფლების მაშინდელ შესაძლებლობებს.

რეპრესირებულთა მონათხრობში სტალინის ფიგურაც ორმაგ მნიშვნელობას იძენს - იგი ერთდროულად აღიქმება რეპრესიული სისტემის სიმბოლოდ და სამართლიანობის აღმდგენ ძალად:

„მამაჩემის განცხადება მივიდა სტალინამდე... ერთ-ერთი ოფიცრის მეშვეობით წერილები კრემლამდე მივიდა. განხილვის შემდეგ გაამართლეს და დაბრუნდა“ (მამრ., 76 წ., ხელვაჩაურის რაიონი, რეპრესირებულის შვილი).

სტალინის ფიგურის მსგავსი აღქმა პოლიტიკური კულტის გავლენის შედეგია, რაც ტრავმულ მეხსიერებაში სპეციფიკური ფორმით აისახა. მოსაზრება, რომ „სტალინმა რეპრესიების შესახებ არ იცოდა“, ემსახურება პასუხისმგებლობის გადატანას ცენტრიდან დაბალ იერარქიულ დონეზე, რაც სისტემურ ძალადობას მორალურად „გააზრებად“ ფორმას ანიჭებს (Figes, 2007).

„მისცეს სიები გადასახლებისა, რომ [ესა თუ ის პირი] მავნებელიაო. სტალინმა რა იცოდა, [ჩვენს სოფელში] მავნებელი ვინ იყო“ (ზ. ი., მამრ., 69 წ., ხულოს რაიონი, რეპრესირებულის შვილი).

პასუხისმგებლობის პერსონიფიკაცია ადგილობრივ ჩინოვნიკებსა თუ მეზობლებზე ადამიანს საშუალებას აძლევს, საბჭოთა ტერორი კონკრეტულ სოციალურ კონფლიქტად გარდაქმნას. აჭარის კონტექსტში ამას მყარი საფუძველიც ჰქონდა: ტოტალიტარული ძალადობა სწორედ დასმენების

პრაქტიკას ეფუძნებოდა, რამაც რეპრესიები ყოველდღიური სოციალური ურთიერთობების ნაწილად აქცია. შესაბამისად, რესპონდენტთა მიერ პასუხისმგებლობის ლოკალიზება კონკრეტულ პირებზე, ერთი მხრივ, ტრავმის სუბიექტური გააზრების ფორმაა, ხოლო მეორე მხრივ, ისტორიული რეალობის ასახვა.

ზეპირ ისტორიებში ხშირად ვლინდება აბსურდული ბრალდებებით გამოწვეული უსამართლობის განცდა:

„მოსკოვიდან წერილი მოვიდა, რომ 1925 წელს კონტრაბანდა გაქვს ნაზიდო... მამაჩემს გაეცინა, რადგან 1925 წელს იყო დაბადებული“ (დ. ფ., მამრ., 67 წ., ხელვაჩაურის რაიონი, რეპრესირებულის შვილი);

„უსამართლოდ რომ გადაასახლეს, ეს კი იცოდა, მაგრამ მას იმის საშუალება არ მიეცა, რომ სიმართლე დაემტკიცებინა“ (მამრ., 76 წ., ხელვაჩაურის რაიონი, რეპრესირებულის შვილი).

სიმართლის სიმბოლურ აღდგენას ემსახურება ე. წ. მორალური კომპენსაციის ისტორიები, სადაც დამსმენები მოგვიანებით სინანულს გამოხატავენ:

„სიკვდილის დროს ერთ-ერთმა პიროვნებამ დაიბარა მამაჩემი და უთხრა: შენს წინაშე, შენი ოჯახის წინაშე ცოდვა მაქვს ჩადენილი და მაპატიეო“ (მამრ., 76 წ., ხელვაჩაურის რაიონი, რეპრესირებულის შვილი).

ტრავმული მეხსიერების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელი მაინც **დუმილის კულტურაა**. შიშით გამოწვეული დუმილი შეგნებულად გადაეცემოდა მომდევნო თაობებს, რათა დაეცვათ ისინი მოსალოდნელი საფრთხისგან:

„მაგენი ყველაფერი დავივიწყეთ. ისე გვეძინოდა, რომ რამეს ვერ ვიტყოდით“ (დ. წ., მამრ., 83 წ., ხულოს რაიონი, რეპრესირებული/დეპორტაციისას ბავშვი);

„რაც არ უნდა ვინმემ მთხოვოს, ვერავის ვერ ვეტყვი, რომელი პიროვნება იყო“ (დ. ფ., მამრ., 67 წ., ხელვაჩაურის რაიონი, რეპრესირებულის შვილი);

„ოჯახში ახალგაზრდებთან არაფერს ამბობდნენ, რომ შუღლი არ გაგრძელებულიყო“ (ზ. ი., მამრ., 69 წ., ხულოს რაიონი, რეპრესირებულის შვილი).

ეს დუმილი ტრანსგენერაციული ტრავმის გამოხატულებაა, სადაც წინაპართა გამოცდილება შთამომავლებს არა მხოლოდ ნაამბობით, არამედ „დუმილის ენითა“ და ქცევითი მოდელებით გადაეცემათ. მომდევნო თაობები ახდენენ ამ ტრავმის ინტერნალიზებას, რაც ხშირად სოციალური გარემოსადმი უნდობლობასა და ფრთხილ ქცევაში ვლინდება:

„ლექსი ვერ მათქმევია მასწავლებელმა სტალინზე, იმდენად უკვე სიძულვილი მქონდა ჩანერგილი“ (ნ. შ., მდედრ., 79 წ., ხულოს რაიონი, რეპრესირებული/დეპორტაციისას ბავშვი).

ინტერვიუებში გამოიკვეთა ტრავმული მეხსიერების მატერიალიზაციის საინტერესო მაგალითებიც, სადაც წინაპართა სახლი „მეხსიერების ადგილის“ (Nora, 1989) ფუნქციას იძენს. რესპონდენტის ნარატივში ბაბუის სახლის შენარჩუნება პირდაპირ კავშირშია რეპრესირებული წინაპრის სიმბოლურ სიცოცხლესთან:

„...ეს სახლი თუ იქნება, ბაბუაჩემი სულ ცოცხალი იქნება“ (დ. ფ., მამრ., 67 წ., ხელვაჩაურის რაიონი, რეპრესირებულის შვილი).

მემორიზაციის ეს ფორმა რესპონდენტისთვის წინაპრის ღირსების სიმბოლური რეკონსტრუქციაა, რაც უსამართლობის განცდას აწმყოში მორალური გამარჯვებით ანაცვლებს. სახლი აქ ხდება სიმბოლური რეზისტენტობისა და გადარჩენის წერტილი.

სახლისგან განსხვავებით, ნარატივებში სრულიად საპირისპირო პოლუსს ქმნის „დაკარგული საფლაპების“ ფენომენი. საფლაპი, როგორც „მეხსიერების ადგილი“, აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ ტრავმული გამოცდილება წარსულად და ისტორიის ნაწილად იქცეს. მისი არქონა ხელს უშლის ხსოვნის რიტუალურ პროცესს და ტრავმას აწმყოში „ღია ჭრილობად“ ტოვებს:

„წელიწადნახევარში მამაჩემის დედა და მამა დარდით მოკვდნენ... დედი, დიდნენი იქ მყავს დასაფლავებული“ (თ. ფ., მდედრ., 78 წ., ხელვაჩაურის რაიონი, რეპრესირებული/დეპორტაციისას ბავშვი).

ამგვარად, საფლავის არარსებობა კოლექტიური მეხსიერების გაწყვეტილ ჯაჭვს წარმოადგენს. ინდივიდუალური დანაკლისის ამ განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს ინსტიტუციური აღიარების დეფიციტი. რეპრესირებულები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან მორალური აღიარება სიმბოლურ დონეზეც არ მომხდარა:

„37-იანებს ბოდიში მოუხადეს, ჩვენ - არა. ჩვენ პირიქით, ვალში ვართ, რომ უკან ჩამოგვიყვანეს“ (ნ. შ., მდედრ., 79 წ., ხულოს რაიონი, რეპრესირებული/დეპორტაციისას ბავშვი).

1951 წლის დეპორტაციის მსხვერპლთა ტრაგედია ვერ მოექცა ვერც სახელმწიფოს ოფიციალურ ნარატივში და ვერც სრულფასოვანი სამართლებრივი რეაბილიტაციის პროცესში, რაც უსამართლობის განცდას დღემდე ცოცხლად ინახავს.

საველე მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ ტრავმა არ დასრულებულა მხოლოდ ფიზიკური გადასახლებით. ის გრძელდება სიმბოლური და გეოგრაფიული გაუცხოების სახით. შთამომავლების მცდელობა, მიაგნონ წინაპართა საფლავებს შუა აზიის ყოფილ სპეციალურ დასახლებებში, ხშირად მძიმე რეალობასთან შეჯახებით სრულდება. ის ადგილები, რომლებიც ოჯახურ მეხსიერებაში პატივგების სიმბოლოდ ინახებოდა, დღეს უკვე ათვისებული და ფუნქციურად შეცვლილი ლანდშაფტის ნაწილია. ამგვარი სივრცითი წაშლა მკაფიოდ ეხმიანება პაველ პოლიანის (Polian, 2004) ხედვას საბჭოთა რეპრესიული სისტემის ლოგისტიკურ ბუნებაზე, სადაც მსხვერპლი მოკლებულია არა მხოლოდ სიცოცხლეს, არამედ სიკვდილის შემდგომ საკუთარ ადგილსაც ისტორიასა და გეოგრაფიაში.

ზემოთ განხილული ნარატივები ადასტურებს, რომ რესპონდენტთა მიერ წარსულის რეკონსტრუქცია ეყრდნობა არა ოფიციალურ დოკუმენტაციას, არამედ ემოციურ რელიკვიებს. ეს ამყარებს ჰალბვაქსის თეორიას კოლექტიური მეხსიერების შესახებ, სადაც სოციალური ჯგუფი (ოჯახი) ინარჩუნებს იმ ისტორიას, რომელიც საჯარო სივრცეში წაშლილია.

ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ დეპორტირებულთა მეხსიერება არის ცოცხალი, დინამიკური პროცესი, სადაც **დუმილი, წარსულის სიმბოლური რეკონსტრუქცია და „მეხსიერების ადგილების“ ძიება** ერთმანეთს ენაცვლება. ეს ნარატივები ავსებს იმ ნაპრალს, რომელიც ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ დატოვა და 1951 წლის ტრაგედიას კოლექტიური იდენტობის განუყოფელ ნაწილად წარმოგვიდგენს.

კვლევის შედეგები და დასკვნა. 1950-იანი წლების რეპრესიებმა აჭარის საზოგადოებაში რამდენიმე გრძელვადიანი შედეგი გამოიწვია:

- **სოციალური ურთიერთობების რღვევა და უნდობლობა:** საბჭოთა ტერორის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შედეგი საზოგადოებაში შიშის ატმოსფეროს დამკვიდრება და სოციალური კავშირების ეროზიაა. აჭარის კონტექსტში ეს გამოვლინდა როგორც ინტერპერსონალურ, ისე თემის დონეზე გაჩენილ უნდობლობაში, რაც ყოველდღიური ყოფის ნაწილად იქცა. შედეგად მოიშალა ის ტრადიციული სოლიდარობა, რომელიც მანამდე საზოგადოებრივი ცხოვრებისა და გადარჩენის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენდა.
- **ტრავმული მეხსიერების სპეციფიკური სტრუქტურა:** რეპრესირებულთა მონათხრობში მკაფიოდ იკვეთება ტრავმული მეხსიერებისთვის დამახასიათებელი სუბიექტური აქცენტები. რესპონდენტთა მიერ შერჩეული სიმბოლური დეტალები თუ ემოციური კონტრასტები წარმოადგენს ტრავმის ავტენტურ რუკას, რომელიც საარქივო დოკუმენტებზე უკეთ წარმოაჩენს რეპრესიების რეალურ ფასს. მეხსიერების ეს არაწრფივი ბუნება ადასტურებს, რომ სისტემამ კვალი დატოვა არა მხოლოდ ადამიანთა ბიოგრაფიებზე, არამედ მათ ფსიქიკურ

სტრუქტურაზე, რაც ათწლეულების შემდეგაც კი დათრგუნული შიშის სახით ამოტივტივდება.

- **მეხსიერების მარგინალიზაცია და „უხილავი“ ტრავმა:** კვლევამ გამოავლინა ტრაგედიათა სპეციფიკური იერარქია კოლექტიურ ცნობიერებაში, სადაც 1951 წლის დეპორტაციის გამოცდილება 1937 წლის „დიდ ტერორთან“ მიმართებით განიხილება. ეს უკანასკნელი საჯარო ნარატივში დომინანტურ ადგილს იკავებს, რაც 50-იანი წლების რეპრესიებს ჩრდილში აქცევს და მათ მეორეხარისხოვან ისტორიულ მოვლენად წარმოაჩენს. შესაბამისად, 1951 წლის მსხვერპლთა გამოცდილება საჯარო სივრცეში მარგინალიზებულ და „უხილავ“ ტრავმად რჩება, რომელიც მხოლოდ საოჯახო ნარატივების დონეზე ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას.

ნარატიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ გადასახლებულთა მეხსიერება რამდენიმე ცენტრალური ფორმით ვლინდება: პერმანენტული უსამართლობის განცდა, ტრანსგენერაციული დუმილი და მორალური კომპენსაციის ძიება. ეს ფორმები წარმოადგენს იმ საყრდენებს, რომელთა საშუალებითაც ოჯახები ახდენდნენ წარსულის რეპრეზენტაციასა და საკუთარი ღირსების რეკონსტრუქციას. სახელმწიფოებრივი აღიარების დეფიციტის პირობებში, სწორედ პირადი და საოჯახო ნარატივები იქცა იმ ერთადერთ სივრცედ, სადაც ისტორიული სამართლიანობის სიმბოლური აღდგენა გახდა შესაძლებელი.

ამდენად, 1951 წლის დეპორტაცია არ ყოფილა მხოლოდ ფიზიკური გადასახლება. ეს იყო მიზანმიმართული დარტყმა სოციალურ სტრუქტურასა და ტრადიციულ ყოფაზე. კოლექტიური ტრავმის პირობებში შეიცვალა თვითაღქმის ფორმები, სადაც ადამიანები საკუთარ თავს განსაზღვრავდნენ არა მხოლოდ ინდივიდუალური ბიოგრაფიით, არამედ რეპრესირებულთა შთამომავლობისა და გადარჩენილი თემის წევრობის საფუძველზე. ამ პროცესში ოჯახური ისტორიები იქცა არა მხოლოდ დანაკარგის, არამედ სიმბოლური წინააღმდეგობის სივრცედაც, სადაც ღირსების აღდგენა თხრობის საშუალებით ხდება.

საბოლოოდ, კომუნიკაციური მეხსიერების დონეზე არსებული ეს კოლექტიური ტკივილი საჯარო ისტორიულ ცნობიერებად უნდა გარდაიქმნას. კომპლექსური ისტორიული, სოციოლოგიური და სამართლებრივი შეფასება ერთადერთი გზაა იმისათვის, რომ წარსულის ტრავმამ შეწყვიტოს არსებობა, როგორც „მემკვიდრეობითმა ტვირთმა“ და იქცეს ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საფუძვლად.

ბიბლიოგრაფია

- თურმანიძე, ო. (2019). *საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში 1921-1952 წლები*. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი (Turmanidze, O. (2019). *Soviet Regime and Mass Repressions in Ajara 1921-1952*. Batumi: Niko Berdzenishvili Institute).
- ჯავახიშვილი, ჯ. (2018). *ტოტალიტარული რეპრესიებით გამოწვეული ფსიქოსოციალური ტრავმის გავლენა და თაობათაშორისი გადაცემა საქართველოს მაგალითზე* (სადოქტორო დისერტაცია). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (Javakhishvili, J. (2018). *Impact of Psychosocial Trauma Caused by Totalitarian Repressions and its Intergenerational Transmission on the Example of Georgia* (Doctoral dissertation). Tbilisi: Ilia State University).
- Assmann, J. (2010). Communicative and Cultural Memory. In A. Erll & A. Nünning (Eds.), *Cultural Memory Studies: An International and Interdisciplinary Handbook*. Walter de Gruyter.
- Caruth, C. (1996). *Unclaimed Experience: Trauma, Narrative, and History*. Johns Hopkins University Press.
- Figes, O. (2007). *The Whisperers: Private Life in Stalin's Russia*. New York: Metropolitan Books.
- Halbwachs, M. (1992). *On Collective Memory*. University of Chicago Press.

- Nora, P. (1989). Between Memory and History: Les Lieux de Mémoire. *Representations*, (26), 7-24. <https://doi.org/10.2307/2928520>
- Polian, P. (2004). *Against Their Will: The History and Geography of Forced Migrations in the USSR*. Central European University Press.
- Portelli, A. (1991). *The Death of Luigi Trastulli and Other Stories: Form and Meaning in Oral History*. Albany: State University of New York Press.
- საარქივო მასალები და ინტერვიუები / Archival Materials and Interviews:
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (სშსსა). ფონდი 31, აღწერა 1, საქმე 80 (საქმე „გროზა“, I, ფურც. 1-7). (Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia (MIA Archive). Fund 31, Description 1, File 80 (File "Groza", I, pp. 1-7)).
- ზეპირი ისტორიები (2024). ჩაწერილია კვლევითი პროექტის - „ოფიციალური ისტორიიდან გარიყული მემსიერება: 1951-1952 წლების რეპრესიები აჭარაში“ ფარგლებში (გამოუქვეყნებელი მასალა). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი. (Oral Histories (2024). Recorded within the framework of the research project "Memory Excluded from Official History: 1951-1952 Repressions in Ajara" (Unpublished material)).